სახალხო გაზეთი

№ 845 ხუთშაბათი, 14 მარტი 1913 წ. № 845

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი'', 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტფილისი

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში**, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში**,
3 ფოსტით: **Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.**

თ-დი ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი და მეუღლე მისი **მარიამ ელიზბარის ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—სიდედრის, მეორე კი დედის

კნ. დარია გიორგის ასულ ამირაჯიბის

გარდაცვალებას. დასაფლავება **სოფ. ავლევში, პარასკევს, 15 მარტს.** 152

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

ხუთშ., 14 მარტს, ქართ. დრამ. საზ. დასის **მსახიობთა ამხანაგობის** მიერ წარმოდგენ. იქნება **ცნობილი ისტორიული დრამა ალ. ყაზბეგისა**

კონსტანტინე ბატონიშვილი

(**ქეთევან წამებული**) 5 მოქ. და 6 სურათად.

ქეთევან დედოფლის როლს შეასრულებს—**ნ. დავითაშვილი.**
კონსტანტინე ბატონიშვილის როლს შეასრულებს—**ვალ. გუნია.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე; ბ-ნნი აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ცაციშვილი, შანშიაშვილი

დასაწყ. საღ. 8 ნახევ. ს. ✦ ადგილების ფასი დაკლებულია.
რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათს, 25 მარტს, წარმოდგ. იქნება **სოფოკლეს** სახელგანთქმული ტრაგედია **ედიპე მეფე.** 1094

№ 25. **ტფილისის სახაზინო თეატრი** № 25.

ხუთშაბათს, 14 მარტს,
ზუბალაშვილების სახ. სახ. სახლთან არსებ. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ
თავის საშუალებათა გასაძლიერებლად

დამსახურ. მსახიობ. **ქ-ნ ეფ მესხისა, ბ. კ. ყიფიანისა** და **ალ. იმედაშვილის** მონაწილეობით წარ. იქნება ისტორ. დრამა ლეგენდა **„ალატი"** 5 მოქ. თავ. სუმბათაშვილისა. თარგმ. გრ. ყიფშიძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ნ. ბადრიძე, **ნ. გამრეკელი-ტოროლი**, მარგ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი ა. კახელი, **ეფ. მესხი, პიერეტა**, ტანელი, ყანჩაველი, ყოჩიშვილი, თ ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ალ. იმედაშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ს. თავდიშვილი, ამბ. ივერელი, ა. კავსაძე, კავაძე, ალ მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, სტურუა, რ. სალაყაია, ლ. სამადაშვილი, ყარსიმაშვილი, გ. ფრონისპირელი, **კ. ყიფიანი**, ალ. შანშიევი, მ. ჭიაურელი, ჭუმბურელი, ნ. ჭანკვატაძე, კ. ხახანაშვილი,

გ. ჯაბაური და **აგრეთვე თანამშრომელთა გაძლიერებული ჯგუფი.**

ადგილ. ფასი 20 კ. 3 მ.-მდე. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. **დასაწყ. საღ. 8 ს.**
1034 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვატაძე.** „წრის" ადმინ.

ქარხნის **მარკა**

კონიაკი და ლიკორი
ს. ს. შამპრიარსკისა
ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მემკვიდრეობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ელექტრო-თეატრი **„აპოლლო".**

14 და 15 მარტს, საყურადღებო პროგრამის გარდა, აჩვენებენ სურათებს

ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის

30 წლის მოღვაწეობის

დღესასწაულისას

ქუთაისში 10 მარტს გადაღებულს. ✦ **შენიშვნა:** შაბათს, 16 მარტიდან 25 მარტამდე თეატრი დაკეტილი იქნება. 1104

ტფილისის ღვინით მოვაჭრეთა
კომიტეტის მამასახლისი
კონსტანტინე სვიმონის ძე დავიდოვი
სთხოვს ღვინო-არყით მოვაჭრეებს, რომ **მობრძანდნენ ხუთშაბათს, 14 მარტს**, ნაშუადღევის 1 საათზე, **სიონის საკათედრო ტაძარში**
მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის
განსაკურნებლად დანიშნულ პარაკლისზე. 1103

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა
წინამძღოლის
თანამდებობის აღმასრულებელი
სთხოვს თავად-აზნაურობას, რომ **მობრძანდნენ 24 მარტს შუადღის 12 საათზე** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის
დეპუტატთა საკრებულოში
(ბელინსკის ქუჩა, № 2)
თავად-აზნაურთა საგანგებო საგუბერნიო
კრებაზე.
კრების საგანია: თავად-აზნაურთა სამეურნეო თანხიდან სოფ. საგარეჯოს მილის წყლის გამოსაყვანად თანხის გადადება. 1105

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის
გამგეობა
აუწყებს წევრებს, რომ კვირას, 17 მარტს 1913 წ., შუადღის 12 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია
საგანგებო კრება
გადასაწყვეტად შემდეგ განსახილველ საგნებისა:
1. საზაფხულო სეზონისათვის დასის მოწყობა.
2. თეატრის შეკეთება და გალამაზება.
3. საზაფხულო ბაღის გაშენება.

კრებაზე დასწრება შეუძლიან მხოლოდ წრის სრულ-უფლებიან წევრებს. 1029.

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან
ძლენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მჭოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღლაშვილი ე. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკოვიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ზ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და [illegible] სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ო. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი ნ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კანის და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" 914** და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія"
въ Тифлисѣ.
№

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

УСТАВЪ ОБЩЕСТВА УТВЕРЖДЕНЪ ВЪ 1895 Г.

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს
მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,
„კახეთი"-ს საზოგადოება
საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოვეკიდებით სასამართლოს წესით. 1054

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.
დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, როდის პრეპარატებით** და **პნევმოტორაკსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე). 79

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად,
ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10½ ს.
ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
ბოგუსვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ, პარასკ., კვირ 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
გ. ნ. გეინაცი—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. ს. ღ. 4—5 ს.
ა. ა ხოდნევი—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1042

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ხაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

საგურამოზე

მშვენიერ ადგილას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფი [illegible] კა ისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასიანევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მოლაპარაკებით.

წამლობა „606" 1053

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ 102

ექიმი ალ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ტფილისი, 14 მარტი

სავალდებულო დადგენილებანი და სათათბირო. ერთი ხანია სახელმწიფო სათათბიროში აღიძრა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული რუსული ხასიათი აქვს: ბრძოლა ხულიგანობასთან. ძნელია გარკვეულად წარმოდგენა, რანაირ კატეგორიის დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს ხულიგანობა. ოფიციალურმა კანონმდებლობამ ასეთი განსაკუთრებული ხასიათის დანაშაულობა არ იცის. ჩვეულებრივად კი ხულიგანობად მიაჩნიათ სხვა-და-სხვანაირი სახით დანაშაულობანი, როგორიცაა, მაგ., ლანძღვა-გინება ქუჩაში, შეურაცყოფა გამვლელ-გამომვლელთა, წესიერების დარღვევა და სხვა ამგვარი. რუსის საზოგადოების ნაწილში დაიბადა აზრი, რომ საჭიროა განსაკუთრებულ კანონის შექმნა ხულიგანობასთან საბრძოლველად. როდესაც დაწვრილებით დაიწყეს აღნიშვნა იმისა, თუ რანაირი ხასიათისაა ის დანაშაულობანი, რომელსაც ჩვეულებრივად „ხულიგანურ“ დანაშაულობადა ნათლავენ, აღმოჩნდა, რომ თვითოეულ ამ დანაშაულობისთვის ცალ-ცალკე მოიძებნება თავისი საკუთარი სასჯელი. სწორედ ასეთი ხასიათის მოხსენება წარუდგენია შინაგან საქმეთა მინისტრისთვის გუბერნატორს ბაშილოვს. ამ გუბერნატორის აზრით, არ არსებობს არც ერთი ისეთი გამოხატულება ხულიგანობისა, რომლის შესაფერი სასჯელიც არსებულ კანონმდებლობაში არ იყოს.

მიუხედავად ასეთის კატეგორიულის განცხადებისა, სამინისტრო მაინც სხვანაირ გზას დაადგა და დაავალა გუბერნატორებს, ხულიგანობასთან ბრძოლის დროს განსაკუთრებულ ზომებს მიჰმართეთ. განსაკუთრებული ზომები კი ცნობილი „სავალდებულო დადგენილებანი“ აღმოჩნდა.

სავალდებულო დადგენილებათა საშუალებით ბრძოლა ხულიგანობასთან სახელმწიფო სათათბირომ უკანონოდ იცნო და გასაოცარის ერთსულოვანებით დაუჭირა მხარი დეპუტატ მაკლაკოვს, რომელმაც შეკითხვით მიჰმართა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევს.

მკითხველებმა იციან, რითიც დასრულდა ეს შეკითხვა. საყურადღებო აქ ის არის, რომ შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი მაკლაკოვი, ძმა დეპუტატ მაკლაკოვისა, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ახალი „კურსი“ შინაურ პოლიტიკისა, კვლავ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. იგი ჯერ პირისპირ არ წარსდგომია სახელმწიფო სათათბიროს და უკვე იძულებული ჰხდება პასუხი აგოს სათათბიროს მსჯავრის წინაშე.

მემარჯვენენი, რა თქმა უნდა, ასეთის მდგომარეობით უკმაყოფილონი არიან. საყურადღებოა ისიც, რომ შეკითხვის შეტანის თაოსნობას ემარჯვენენი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევს აწერენ. კოკოვცევმა მოინდომა მაკლაკოვის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, და შეკითხვაც კადეტებმა იმიტომ შეიტანესო. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ხმები, მაგრამ ახალი მინისტრის მოქმედება, რომ ზომიერ ელემენტებშიაც კი უკმაყოფილებას იწვევს, ეს ცხადზე უცხადესია.

ქართული პრესა

როდესაც ბ. თ. ღლონტმა თავისი პირადი და დამოუკიდებელი აზრი გამოსთქვა იმ არა საკადრის პოლემიკის თაობაზე, რომელსაც ჩვენი იდეიური მოწინააღმდეგენი აწარმოებენ, წინდაწინვე ვიცოდით, რასაც იტყოდნენ. „დილი“-ს პუბლიცისტები უპირველესად ყოვლისა, რა თქმა უნდა, თვით ბ. თ. ღლონტის პიროვნების გაბიაბრუებას მოისურვებდნენ. ეს ჩვეულებრივი წესია „დილელების“ „ტაქტიკისა“: ჭუჭყში, ჭუჭყში გასვარე შენი მოწინააღმდეგე, ისეთი ლაფი გადაასხი, რომ, ჭკვიანი და დაკვირვებული ადამიანი თუ არა, ბრიყვი მაინც შევიყვანოთ შეცდომაში! ასეც მოიქცნენ. ხან „რენეგატი“ უწოდეს, ხან „უმეცარი“ და სხვა ამისთანა. „დილელთა“ სექტანტების აზრით, ყველა, თვით თავიანთი მოაზრენიც კი, ვინც მათ თავ-აღებულსა და შავრაზმულ კილოს პოლემიკისას ვერ იტანს, რენეგატია. რა ვუყოთ? ასეთი ყოფილა ყველგან და ყოველთვის ბუნება სექტანტისა! მაგრამ საინტერესოა მაინც, რა „საბუთები“ მოჰყავთ „დილის“ პუბლიცისტებს?

„არც ერთი რუსის მარქსისტი,— სწერს „დილა“,—არ უწოდებს კოროლენკო-მიაკოტინებს რეაქციონერებსა და ხულიგნებს, მაგრამ ამას იმიტომ, რომ ხსენებული პირები, თუ ჯგუფი არასოდეს საამისო საქციელს არ ჩაიდენენ. მიაკოტინები მარქსისტების წინააღმდეგ არ უმეგობრდებიან რეაქციონურ შემამულეებს, ისინი პატივსა სცემენ დემოკრატიას“.

სრული ჭეშმარიტებაა! ისინი პატივსა სცემენ დემოკრატიას და ამასთანავე ერთად პატივსა სცემენ თავიანთ თავსაც, როგორც დემოკრატებს. ამიტომ, ძალიან უკმაყოფილონი დარჩებოდნენ, რომ ჭეშმარიტ რუსებს, ან ელემენტებს, რომლებიც დემოკრატიის წინააღმდეგ არიან მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი სოციალური მდგომარეობით, მათთვის დაეჭირათ მხარი არჩევნების დროს. ასეთი დახმარებით ისინი შეურაცყოფილად ჩასთვლიდნენ თავიანთ თავს და უსათუოდ ჩაუფიქრდებოდნენ იმას, თუ რა ეშმაკი ამოქმედებს მათ მოწინააღმდეგეთ ამნაირად. ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა კი, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში ნიადაგი გამოეცალათ, არამც თუ სიამოვნებით მიიღეს ესეთი დახმარება, თვითონ ჩაეკვრნენ გულში „სოლოლაკელებს“, ჩაეკვრნენ იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათს კანდიდატს სასტიკი დამარცხება მოელოდა. პარტიას, რომელიც მოწინააღმდეგე დემოკრატიული ჯგუფის დასამარცხებლად, სომხის ბურჟუაზიის დახმარებას მიჰმართეს, განა უფლება აქვს დემოკრატიულ პარტიის სახელი ატაროს? ეს პოლიტიკური პარტია კი არა, უთავბოლო ხროვაა გზა-კვალ აბნეულ სექტანტებისა, რომელსაც ნიადაგი ეცლება ფეხებიდან და წყალ წაღებულსავით ხავსს ეკიდება. მიდით, მაგრა ჩაეკარით გულში სოლოლაკელებს. ქართული ეროვნული იდეალების მატარებელ ჯგუფის განადგურებას „სოლოლაკელთა“ ინტერესი მოითხოვს. დაეხმარეთ, რომ რაც შეიძლება კარგად წავიდეს ეს პროცესი თქვენდა სასახელოდ და სომხის ბურჟუაზიის ჯიბის გასასქელებლად.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილემ გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა** 12 მარტს ღამე მშვიდად გაატარა. ტემპერატურა—36,1. მაჯისცემა—54—62 წამში.

მეფის მოადგილის მეუღლემ გუშინ დეპეშით მადლობა გადაუხადა წვრილ ვაჭართა საზოგადოებას მეფის მოადგილის განკურნებისათვის პარაკლისის გადახდისათვის.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას** გამოუგზავნეს რუსული წიგნები ხალხში უფასოდ დასარიგებლად: მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა—„თუთის მოშენება და აბრეშუმის ჭიის მოვლა“ ვ. ა. ბერტენსონისა და ტფ. საბოტანიკო ბაღმა „კიტრის ავადმყოფობანი“ ნევოდოვსკისა. საზოგადოება ამ წიგნების გადათარგმნას ადგილობრივ ენებზედაც აპირობს.

◆ **მუშტაიდზე ქუჩის გაყვანის** საკითხი ქალაქის გამგეობამ უკვე გამოარკვია დაინტერესებულ პირთა თანადასწრებით. გამგეობა შესაძლებლად სცნობს, რომ მიხეილის ქუჩა პირდაპირ გაგრძელდეს იმ ორსაჟენიან გზით, რომელიც ახლა არსებობს; მხოლოდ ეს გზა უნდა გახდეს ათ-საჟენიანი. ამ შემთხვევაში გზად მოყვება დიტრიხის ადგილი, რომელსაც დიტრიხი ქალაქს უფასოდ უთმობს.

◆ **ილიას საღამო.** ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობამ ილიას საღამოზე 20 აპრილისთვის მოიწვია კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი, რომელსაც დაავალა ხოროს მოწყობა და პროგრამის წარდგენა გამგეობაში თავისი შედგენილ სიმღერებისა. გუშინ სულხანიშვილმა გამგეობას წარუდგინა პროგრამა. ხორო შეასრულებს მის მიერ ახლად შედგენილ შემდეგ სიმღერებს: 1. „მესმის, მესმის“ ტექსტ. ილიასი. ხორო. 2. „ერთ ბეღ ქვეშა ვართ ლაზავ, მე და შენ“ სოლო, ხოროს აკომპანიმენტ ქვეშ. 3. „მაშ გამარჯვება“ კახური ჰიმნი, შეასრულებს ხორო, ტექსტი ბაირონისა, თარგმანი ბაქრაძისა. 4. „დაიგვიანეს“ არია სულხანიშვილის ოპერიდან „პატარა კახი. შეასრულებს სოლო როიალის აკომპანიმენტით. 3. „ჩონგურს სიმები აუბი“ ტექსტი აკაკისა, არატორია ხოროს აკომპანიმენტით. 6. „მო ფანდური შემოგჩივლო“ სოლო როიალის აკომპანიმენტის ქვეშ, ტექსტი ი. ევდოშვილისა. 7. „სამშობლო ხევსურისა“ ხორო. 8. ჰიმნი: „გაუმარჯოს ილიასა“. მთელი ეს მასალა სულხანიშვილს დამზადებული აქვს და დღეიდან უკვე შეუდგა ხოროს მზადებას.

◆ **სამღვთო სჯულის მასწავლებელნი საქალაქო სკოლებში.** აქას წინად ქალაქის გამგეობამ ეგზარხოსს წარუდგინა საქალაქო სკოლების სამღთო სჯულის მასწავლებლების კანდიდატები, რომელნიც ეგზარხოსმა არ დაამტკიცა და ახალ კანდიდატების წარდგენა მოითხოვა. ამის შემდეგ ქალაქის გამგეობასა და ეგზარხოსის კანცელარიის შორის მიწერ-მოწერა გაიმართა. გამგეობა კიდეც შეეკითხა, რა თვისებისა უნდა იყვნენ კანდიდატები, რომ დაამტკიცოთო. ამის პასუხად გუშინ ქალაქის გამგეობამ ეგზარხოსის კანცელარიიდან ოფიციალური ქაღალდი მიიღო, რომლიდანაც სჩანს შემდეგი: ერევნის ეპისკოპოსს პიმენს, რომელსაც ჩაბარებული აქვს თვალყურის დევნება საქალაქო სკოლებში საღვთო სჯულის საქმისათვის, ეგზარხოსისათვის უცნობებია, ქალაქის გამგეობა დღემდე არ ადგენს მასწავლებლების კანდიდატებს მეორე და მესამე ავლაბრისა, ამაღლებისა, ჩუღურეთისა დ ვერის სკოლებში. ეპისკოპოს პიმენის რაპორტზე ეგზარხოსს შემდეგი რეზოლუცია დაუწერია: „5 მარტი 1913 წ. რადგანაც ქალაქის გამგეობა ამოდენ ხანს მასწავლებლების კანდიდატებს არ ადგენს, ამიტომ იძულებული ვხდები, კანონის თანახმად ჩემის უფლებით დავნიშნო: 1) ვერისა და ამაღლების სკოლებში მღვდელი ალ. პირემსკი, 2) ჩუღურეთისაში—მღვდელი მალჩევსკი და 3) ავლაბრის მეორე და მესამე სკოლებში მღვდელი იაშვილი“.

◆ ქართულ სათ.-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს გამგე კომიტეტი** ღრმეს მადლობას უცხადებს გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისას, რომელმაც თავისი ხარჯით გაუმართა ზემო აღნიშნულ სასადილოში მოსიარულე ბავშვებს სადილი, 22 თებერვალს რომანოვთა საგვარეულოს 300 წ. აღსანიშნავად; აგრეთვე ტფ. სათ-აზნ. საკრებულოს 300 მ. შემოწირვისთვის ამავე მიზნით.

◆ მიხეილის საავადმყოფოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფე **გიორგი ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე.** განსვენებულის ცხედარს ხონს წაასვენებენ.

◆ კვირას, 10 მარტს, ბერძენთა დრამატიულ სექციის თაოსნობით ტფილისში მოსახლე ბერძენთა თანადასწრებით, ბერძენთა ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი საბერძნეთის მოკლულ **მეფე გიორგი** პირველის სულის მოსახსენებლად. შემდეგ სექციის თავმჯდომარემ ბ-ნმა ბასტიანოვმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტს ვენიზელოსს.

◆ დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო იტყობინება, რომ დარუბანდში, გეოქჩაიში და შემახაში 12 მარტს დილის 5—6 საათზე **მიწა ძლიერად იძრა.** მიწის ძვრამ დარუბანდში გასტანა 5 წამს, გეოქჩაიში 20 წ. და შემახაში 8 წამს.

◆ „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ მოროხოვის ქუჩაზე თავ. ფიცლენიშვილის სახლი გაძარცვესო. წაღებულია 50.000 მანეთის ღირებული ნივთები.

◆ პეტერბურგის სააგენტო იტყობინება, რომ სენატმა განიხილა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილი საკითხი, შესახებ 21 თებერვლის მანიფესტის განხორციელებისა. სენატმა განმარტა, რომ უმაღლეს მანიფესტის, მეტვრამეტე განყოფილების 12 და 13 მუხლის ძალით ერთი მესამედით შემცირდება ვადა, რომელიც საბოლოდ ჰქონდათ მისჯილი დამნაშავეებს, საქმის გარჩევამდე ციხეში ჯდომის ვადის ჩათვლით.

◆ **ნატახტარიდან ტფილისში წყლის გამოყვანის** პროექტის შესადგენად ქალაქის გამგეობასთან შესდგა საგანგებო ბიურო ა. ს. ბაბოვის თავჯდომარეობით. ბიურო ჯერჯერობით მასალებს აგროვებს პროექტისათვის.

◆ დღეიდან ამაღლების ქუჩაზე **საქალაქო ბაღის** გაშენებას შეუდგებიან.

◆ ქალაქის გამგეობამ გამოარკვია, რომ **მანიფესტის ძალით** პოლიციის შესანახ ფულიდან დღემდე ეპატიება 150,000 მან.

◆ მართლმადიდებელ ეკლესის საქმეთა სათათბიროს კომისიამ, როგორც პეტერბურგის სააგენტო ატყობინება, მოიწონა კანონ-პროექტები: გადასდოს სახელმწიფო ხაზინამ 1912 წლიდან ყოველწლიურად 1250.000 მანეთი იმ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირისთვის, რომელნიც სასკოლო ფარგალში შევიდნენ; გადასდოს ხაზინამ ფული იმ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირის მოსამატებლად, რომელნიც სკოლის ფარგალში მოჰყვნენ 1908 წლ. 3 მაისის კანონამდე, 1912 წელს—1.251.1200 მანეთი, 1913 წლიდან კი ყოველ წლივ 2.282.100 მანეთი; გაიღოს ხაზინამ მასწავლებელთა ჯამაგირისთვის სამრევლო სკოლებისა, რომელნიც სკოლის ფარგალში მოჰყვნენ სამრევლო სკოლების ასაშენებლად, ხაზინამ უნდა გასცეს 500.000 მ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების** გამგეობის კრება 12 მარტს მოხდა. გამგეობამ დანიშნა ლექციების დღეები სხვა და სხვა ადგილას და შემდეგ მასალების დამზადებას შეუდგა საზოგადოების წლიურ კრებისთვის, რომელიც დანიშნულია 17 მარტისთვის. გამგეობამ, სხვათა შორის, დაამზადა საზოგადოების 1912 წლის ფინანსიური ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 2,894 მან. 83 კ., ხარჯი კი—2,355 მან. 40 კ.

◆ ავლაბრის ქართ. სახ. წარმოდგენების მმართველი წრის **საგანგებო კრება**, რომელიც დანიშნული იყო დღეს, 14 მარტისათვის ავლაბრის სახალხო თეატრში, გადაიდო კვირას, 17 მარტისათვის.

◆ ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ ეთნოგრაფიისა, ისტორიისა და ენათმეცნიერების საზოგადოების საჯარო კრება, რომელზედაც გარეშეთაც შეეძლებათ დასწრება, მოხდება არა 15 მარტს, როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, არამედ კვირას, 17 მარტს, საღამოს 8 საათზე, კურსების ერთ-ერთ აუდიტორიაში. მოხსენებას წაიკითხავს ბ-ნი სარგის კაკაბაძე „როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი“ და ბ-ნი ალ. მარკოვი „რუსებისა და მორდვას ურთიერთობა ისტორიასა და სახალხო პოეზიაში“.

◆ სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოება წელს სახლების აგებას მიჰყოფს ხელს. ააგებს 16—32 სახლს. საზოგადოების საბჭოს საჭირო ფულს სესხად დაჰპირდა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება. სესხის მიცემის სურვილი განაცხადა საზოგადოების ზოგიერთმა შეძლებულმა წევრმაც.

◆ ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის კრება 15 მარტს მოხდება. განიხილავს შიოევის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისთვის ადგილის შეძენის საკითხს.

◆ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებიდან გამოვიდა რამდენიმე წევრი და ამავე სახელით ახალი საზოგადოება დაარსა ქ-ნ აკუნოვის თავმჯდომარეობით. საზოგადოებამ გადასწყვიტა გააშენოს სასოფლო-სამეურნეო ახალშენი. ამ აზრით სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსაგან იჯარით აიღო წელიწადში 35 მან. ორთაჭალის კუნძული, რომელიც მტკვარზე მდებარეობს. ამ კუნძულზე საზოგადოებამ უკვე მიჰყო ხელი ბოსტნეულის მოყვანას. საზოგადოების წევრთა საერთო კრება 17 მარტს, 12 ნახ. საათზე, მოხდება ქალაქის გამგეობის შენობაში.

ქუთაისი

◆ ორშაბათს 11 მარტს, ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია გაზეთ **„მნათობის“** რედაქტორის რ. ვაჭრიძის საქმე. მას ბრალს სდებდნენ მთავრობის შესახებ ცრუ ცნობების გავრცელებაში (1034 მუხ.). ვაჭრიძე სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო და ბრალდებისაგან სავსებით გაამართლა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე გ. გიორგაძე.

ვაჭრიძე ისევ სატუსაღოში გაგზავნეს, რადგან ის ადმინისტრატიულად გადასახლებულია ქ. როსტოვში. მეორე წელიწადია, რაც ქუთაისის სატუსაღოში ზის.

◆ კავკასიის დროებით **სამხედრო სასამართლომ** ამას წინად ქ. ქუთაისში გოგია ჟორდანიას, შალვა ორაგველიძეს და ფირცხალაიშვილს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მათ ბრალდებოდათ მატარებლის შეჩერება და მგზავრათ მიმავალ ბათუმის გუბერნატორის და სხვების გაძარცვა. მეფის მოადგილემ მათ სიკვდილით სასჯელი 15—15 წლის კატორღაზე შეუცვალა. მათ გზავნიან რუსეთის საკატორღო ციხეში.

◆ ქუთაისის სატუსაღოში მყოფ პოლიტიკურმა პატიმარმა პროვიზორის თანაშემწემ **იოსებ ციბაძემ გამოიგონა** სატუსაღოსთვის ლებები, რომელიც უკვე მოიწონა ციხის ადმინისტრაციამ და კიდევაც შემოიღო ხმარებაში.

◆ 18 მარტს ქუთაისში, შავი-ქვის **მრეწველთა საბჭოს** დარბაზში, დანიშნულია საბჭოს მორიგი სხდომა.

◆ **ი. გრიშაშვილის საღამო ქ. ქუთაისში** შესდგება კვირას 31 მარტს. პროგრამა საინტერესოდაა შედგენილი: ქართველ მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება მხიარული ვოდევილი, იქნება აგრეთვე ლექცია. წაიკითხავენ თბილისისა და ქუთაისის მწერლები: ლექციებს, სცენებს, მოთხრობებს, შარჟებს, საოხუნჯო-საამდროვო კუპლეტებს და სხვა. დაწვრილებით აფიშებში იქნება გამოცხადებული.

ბაქო

◆ ნავთის მწარმოებელი **ჯაყელი** ჩრდილოეთ სპარსეთში ტყის კონცესიონერადაა მიწვეული, რომელმაც ავტომობილის მიმოსვლა უნდა მოაწყოს. ჯაყელმა სპარსეთში ავტომობილის საქმის მეთაურობაზე თანხმობა განაცხადა.

◆ ბაქოს ქალაქის საბჭოს ბუღალტრის თანაშემწე **ი. მ. თურქია** სამსახურს თავს ანებებს და რუსეთ-სპარსეთის ტყის მწარმოებელთა უფროს ბუღალტრად ენზელს მიდის.

◆ 21 მარტს ქ. ბაქოში დანიშნულია უგანათლებულესი თავადის უჩა დადიანის საქმე. ამ საქმეს გაარჩევს ტფილისის სასამართლო პალატის სესია.

ჭიათურა.

◆ კვირას, 10 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე ბერძნების სკოლაში შეიკრიბნენ, რაც ჭიათურაში ინტელიგენტი და მუშა ბერძნები იყვნენ და პანაშვიდი გადაიხადეს საბერძნეთის მოკლული მეფის გიორგის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი შეასრულა ჭიათურის მღვდელმა მამა ბესარიონ ვაშაძემ, რომელმაც მოკლე გრძნობიერი სიტყვა რუსულად წარმოსთქვა. პანაშვიდის დაწყებამდის. პანაშვიდზე ბერძნები გალობდენ ბერძნულად. პანაშვიდის დასასრულს ბერძენთა სკოლის მასწავლებელმა სტეფანო-პულომ ბერძნულად გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, გიორგი მეფის მოღვაწეობაზე. სკოლის პატარა მოწაფეებს მოკლული მეფის სურათი ხელში ეჭირათ და მწუხარებით დასცქეროდნენ. პანაშვიდზე დიდძალი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის, იყვნენ საქალაქო სკოლის ინსპექტორი წუწუნავა, სამთო ინჟინერი ბ. ავდეევი და სხვანი.

შინაგან საქმეთა მინისტრის პროგრამა

გაზეთ „ტანის“ კორესპონდენტი ეწვია შინაგან საქმეთა მინისტრს მაკლაკოვს.

— გსურთ იცოდეთ რაში მდგომარეობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დარგში განზრახული რეფორმების მოხდენა?—შეეკითხა მინისტრი კორესპოდენტ რივეს.—ფრიად ძნელი არის ჩემთვის ნათელი და გარკვეული პასუხის მიცემა ამ რთულ საკითხზე. იმდენი რამ არის გასაკეთებელი, გასაახლებელი, გასაუმჯობესებელი, რომ მე მხოლოდ ეხლა ვეცნობები რუსეთის საჭიროებას, ხალხის მოთხოვნილებას. თქვენ შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ, რომ მე, შინაგან საქმეთა მინისტრი, შეგნებული მომხრე ვარ დეცენტრალიზაციისა. საჭიროა მონარქის წარმომადგენელთა უფლების გაფართოვება. პირველ ყოვლისა განზრახული მაქვს მივაქციო ყურადღება პროვინციას, იმპერიის კორპუსს, რადგანაც იგი უფრო ჰსაჭიროებს მზრუნველობას, ვიდრე ცენტრი. ცენტრის მთავრობამ არ უნდა იკისროს ყველა საკითხების გადაწყვეტა. შეუძლებელია ადგილობრივი საკითხები პეტერბურგში გადასწყდეს. გუბერნატორებს უნდა მიეცეთ უფლება დამოუკიდებლივ იმოქმედონ ადგილობრივი საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

ამაზე მიპასუხებენ, რომ ბოროტმოქმედების შიში იქნება. რათა ეს საფრთხეც თავიდან ავიცილოთ გუბერნატორთა უფლებების გაფართოვებასთან ერთად დავაწესოთ კანტროლი, რასაკვირველია კანტროლი ნამდვილი, ვიდრე დღეს არის. ამის მოგვარება ძნელი არ უნდა იყოს. ეხლანდელი რევიზიები უფრო გამოძიებაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრი დაწვრილებით გაეცნობა ადგილობრივ პირობებს და მთავრობის მოქმედებას. შემდეგ დაწვრილებითი მოხსენებას წარუდგენს ცენტრალურ სამმართველოს. კანტროლი არავისთვის არ უნდა იყოს დამამცირებელი და თავმოყვარეობის შემლახავი. ჩემის აზრით, კანტროლი ერთად-ერთი საშუალებაა დავამტკიცო, რომ პირუთვნელად და ერთგულად ვასრულებ ხელმწიფის და სამშობლოსადმი მოვალეობას. სისტემატიურ დეცენტრალიზაციასთან ერთად სამინისტრო ეცდება შემოიღოს ერობა იქ, სადაც არ არსებობს. ჩვენს მართვა-გამგეობაში არის ერთი წყლული, რომელიც დაუყოვნებლივ განკურნებას მოითხოვს ეს პოლიციის მდგომარეობაა. რადგანაც პოლიციის მოხელენი აქამდის ფრიად მცირე ჯამაგირს იღებდნენ, ისინი იძულებულნი იყვნენ შემოსავლის იმ წყაროსთვის მიემართათ, რომელიც მათ ღირსებასა და მოვალეობას არ შეჰფეროდა და ჩირქს სცხებდა. პირველი ცდა პოლიციის რეორგანიზაციის მოსახდენად იყო გუბერნატორთა თათბირის მოწვევა. ამ თათბირმა საპოლიციო რეფორმის ძირითადი დებულებანი გუბერნატორებთან ერთად, რომელნიც უკეთ იცნობენ ადგილობრივ პოლიციის ღირსება-ნაკლულევანებას, შეგვიმუშავა პროექტი პოლიციის ყველა მოხელეთათვის ჯამაგირის მოსამატებლად. ამასთანავე მიღებულია ზომები ბოროტ-მოქმედების ჩადენის წინააღმდეგ. ჯამაგირის მომატება შეძლებას გვაძლევს მოხელეთა დანიშვნის დროს ფართო არჩევანი მოვახდინოთ. რუსეთში დღითი-დღე იზრდება დამნაშავეთა რიცხვი, თან და თან დანაშაულობა მრავლდება. ამის მიზეზი ჯერ ერთი ის არის, რომ ახალგაზდობას მოუხდა მღელვარების ხანაში ცხოვრება 1905—1906 წელს. შიში ღვთისა და კანონის სოფლადაც კი იკარგება. სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთ დიდად ემუქრება ნაძირალების გამრავლება; გუბერნატორების უფლებათა გაფართოვება შეძლებას მისცემს მათ მიიღონ ნაძირალებთან საბრძოლველად სპეციალური ზომები, სანამ საამისო კანონი შემუშავდებოდეს. ამ რიგად ჩვენ შეგვეძლება ბრძოლა გაუწიოთ ბოროტებას და ამასთანავე გვექნება მოცლა გულმშვიდათ და დაწვრილებით ვიმუშავოთ კანონის შესამუშავებლად, რასაც სათათბიროში წარვადგენთ. ხალხის ზნეობრივი დაცემასა და დამნაშავეთა გამრავლებას აღნიშნულ მიზეზს გარდა, ძალიან ხელს უწყობს ლოთობა. როდესაც გლეხი სმას მიჰყოფს ხელს, მაში თანდათან იკარგება შრომის ხალისი, სხვისი პიროვნებისა და საკუთრების პატივისცემა. ლოთობას მთავრობა ჯერჯერობით ადმინისტრაციის წესით უნდა ებრძოლოს. რასაკვირველია ლოთობის ერთიანად აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელია. ჰავის სიმკაცრემ ზოგიერთ ადგილებში ალკოჰოლის მიღება ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებად გახადა. საჭიროა წინააღმდეგობა გაეწიოს ალკოჰოლის მოჭარბებულ ხმარებას. ამ მიზნის მისაღწევად სახაზინო არყის დუქნებს არ გავხსნით იქ, სადაც ჯერ არ არსებობს, თუ რასაკვირველია, თვით მცხოვრებლებმა არ მოითხოვეს. შემდეგ საჭირო რეფორმად პასპორტების მოწესრიგება მიაჩნია. ხშირად პატიოსან ხალხს ავიწყდება პასპორტის განახლება ან აღება. საეჭვო პირნი და არამზადანი კი ფრიად ადვილად შოულობენ პასპორტებს. ისინი იმდენ პასპორტს შოულობენ, რამდენიცა ჰსურთ. საზღვრებზე მცხოვრებმა ებრაელებმა სწორედ ხელობად გაიხადეს პასპორტების დამზადება, რუსეთიდან გასასვლელად თუ შემოსასვლელად. საპასპორტო სახელოსნოები უმეტეს ნაწილად გალიციის ქალაქებში და რუსეთის პოლონეთში იმყოფება. რათა ბოლო მოეღოს მას დ საზოგადოება უშიშრადა ვყოთ, საჭიროდ მიმაჩნია გავაძლიეროთ კანტროლი. ამასთანავე ოლქის პოლიციის უფროსებსა დ მაზრის უფროსებს, უნდა მიეცეთ უფლება საზღვარ-გარეთის პასპორტების მიცემისა; ეს უფლება საგუბერნიო კანცელარიის კუთვნილება იყო მხოლოდ. ჯერ ერთი ამ საშუალებით გაადვილდება პასპორტის მიღება და მეორე მხრივ ადგილობრივად უფრო ცნობილია, ვინ არის ღირსი პასპორტის მიღებისა და ვინ არა, საეჭვო პირია მთხოვნელი თუ არა.

(დასასრული იქნება)

121

არგონავტების ლაშქრობა

(ალ. ხენიძის მოხსენება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე).

(შემდეგი *)

გულთამხილავმა ფინეუსმა აუწყა არგონავტებს, რომ მათ კუნძულ არეთიასზე სასიხარულო ამბავი მოელით. მართლაც აქ ნახეს ფრიქსოსის ოთხი შვილი, რომელნიც კოლხიდიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ. აქ გემი დაიღუპოდათ და თითქმის შიშველ-ტიტველნი ძლივს გადარჩენილიყვნენ. ძლიერ გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა. ფრიქსოსის შვილებმა აღუთქვეს მათ თან გაყოლა, თუ საჭიროთ სცნობდნენ წინადვე უცნობინათ მათთვის საქმის სიძნელე და მისგან დამოკიდებული განსაცდელი. ამის შემდეგ არგონავტებმა გაიარეს მაკრინების, ბეხაირების, საპაირების და ბიცერების ქვეყნები (ცნენი ყველა კავკასიელი ერებია). მალე შავი ზღვის კიდე და კავკასიონის ქედიც გამოჩნდა, რომელზედაც პრომეთეოსი იყო მიჯაჭვული. დაღამებისას არგონავტები რიონს მიადგნენ და გემიც შეაცურეს შიგ (**აპოლლონიუსის** სიტყვით პრომეთეოსის დარაჯმა არწივმა „არგო" შეამჩნია, აფრინდა და მას თავს დასტრიალებდა. ვალერიუსის სიტყვით პრომეთეოსი სწორედ იმ დღეს გაანთავისუფლა ჰერკულემ). არგონავტები აჰყვნენ რიონს: მარცხნივ მათგან იმყოფებოდა კავკასიონი და კუტეის ქალაქი, მარჯვნივ კიარესის მინდორი და საკერპო.

სწორედ ამ მინდორზე იდგა ერთი მუხა, რომელზედაც ოქროს ვერძი იყო ჩამოკიდებული და რომელსაც ვეშაპი სდარაჯობდა. იასონმა ოქროს კათხიდან რიონში ღვინო ჩაასხა და გეას და ადგილობრივ ღმერთებს შეწევნა სთხოვა. შემდეგ არგონავტებმა გემი მიაყენეს და დაისვენეს. გათენებისას თათბირი გამართეს, თუ როგორ ემოქმედნათ. ამ დროს არც იასონის მფარველ ღმერთებს სძინებიათ. მათ (გერამ და აფროდიტამ) იასონის სასარგებლოდ თავისკენ ეროსი და ათინა გადმოიბირეს და **მედეას** გულში იასონის სიყვარული ჩაანერგეს. იასონი ტელამონის, აუგეას და ფრიქსოსის შვილებით მეფის სასახლისაკენ გაემგზავრა, მისმა მფარველმა ღმერთმა—გერამ—იგინი უჩინარ ჰყო. მხოლოდ გულთამხილავმა მედეამ შეამჩნია ისინი და ხალკიოსის შვილებს დაბრუნება შეატყობინა. შემდეგ დარბაზში თვით კოლხიდის მეფე **აეტი** შემოვიდა თავის ცოლით **მიდიათი**. ფრიქსის შვილებმა მეფეს უამბეს არგონავტების ჩამოსვლის მიზეზი და მათი მხრით ხარმატების წინააღმდეგ დახმარებაც აღუთქვეს. აეტი საშინლად გაბრაზდა, მეტადრე თავის ძმის წულზე. იასონის მშვიდობიან გამოლაპარაკების შემდეგ, აეტმა გადასწყვიტა ძალის მაგიერ ხერხი ეხმარა და ეშმაკობით მოეშორებინა თავიდან. ამიტომ იგი დაჰპირდა,—ვერძი შენი იქნება, თუ ცეცხლის მფრქვეველ ხარებს დაიმორჩილებ, უღელში შეაბამ და არესის ველზე ოთხ ქცევა მიწას მოხნავო. იასონს ნახნავში ვეშაპის კბილები უნდა დაეთესა და აქედან ამოსულ ლაშქარს უნდა გამკლავებოდა. იასონი გემზე შეშინებული დაბრუნდა, მაგრამ პელეუსმა, ტელამონმა და სხვებმა დაამშვიდეს: ჩვენ ვიკისრებთ მაგ საქმეს თუ შენ ვერ შესძლებო. მედეას ძლიერ შეეცოდა ახალგაზრდა უცხოელი. ამიტომ მან მისი შველა გადასწყვიტა. არგოსმაც ურჩია იასონს, მედეას დახმარება მხედველობაში მიეღო. ბოლოს ყველანი დასთანხმდნენ იმაზე, რომ მედეასთვის დახმარება ეთხოვათ. ამ მიზნით იასონმა ქალაქში არგოსი გაგზავნა. ბოლოს არგონავტები უფრო თვალსაჩინო ადგილას გამოვიდნენ, რადგან ეშინოდათ სიმხდალე არვინ დაგვწამოსო. ამავე დროს აეტმა თავისი კოლხიდელები დაამზადა და გემის გადაწვას და არგონავტების ამოჟლეტას ჰფიქრობდა, როგორც კი ხარები მათ ბელადს იასონს მოჰკლავდნენ.

დაბრუნებული არგოსი თავის დედას ხალკიომას შეეხვეწა, რომ არგონავტების სასარგებლოდ მედეაზე გავლენა მოეხდინა. უკანასკნელი ისედაც გატაცებული იყო იასონისადმი სიყვარულით და როცა ხალკიომამაც შესაფერად შეაგულიანა იგი, მედეამ არგონავტების მოსარჩლეობა იკისრა. მედეას თორმეტი მხლებლით ჰეკატას ტაძრისაკენ გაემგზავრა. თან მან იასონისათვის პრომეთეოსის საცხებელი წამოიღო, რომლის წამსმელიც ცეცხლისა და მახვილისაგან უზრუნველყოფილი იყო. არგოსმა იასონიც მოიყვანა და მედეას საიდუმლოდ ანახვა იგი. იასონმა მედეას საუკუნო სიყვარული შეჰფიცა; საკვირველია, მედეამაც იგივე დაუმოწმა. მედეამ მას პრომეთეოსის საცხებელი გადასცა და დაარიგა, თუ როგორ უნდა ეხმარა იგი, ან შემდეგ როგორ ემოქმედნა. მეორე დღეს იასონმა აეტს ტელამონი გაუგზავნა და შეუთვალა, რომ მას მისთვის ვეშაპის კბილები გამოეგზავნა. მედეას რჩევის მიხედვით, იასონმა იმავე ღამეს რიონში იბანა და შემდეგ შავ ტანისამოსში გამოწყობილმა ჰერსეის ჰეკატს მსხვერპლი შესწირა, და დახმარება შესთხოვა. მეორე დღეს აეტი თავის კოლხიდელებით ადრე გამოცხადდა არესის ველზე. იასონმა მედეას მოცემული საცხები მთელ ტანზე წაისვა, აგრეთვე ფარ-ხმალსაც წაუსვა, ჩაჯდა გემში და თავის იმედდაკარგულ ამხანაგებიანათ არესის ველისაკენ გაემართა. მხოლოდ ხმლით და ფარით შეიარაღებული იასონი გადმოხდა ველს. მას ტანთ არაფერი ეცვა. აეტმა თავისი ხარები გამოუშვა. გმირი შეება მათ, დაიმორჩილა და უღელში შეაბა, სალამომდი ხნა იასონმა არესის ველი და მასზე ვეშაპის კბილები სთესა, სანამ მთელი ოთხი დღიური არ გაათავა. დაღამებისას მან შეამჩნია, რომ მთელი მინდორი ჯარით დაიფარა. იასონმა (როგორც მედეამ დაარიგა იგი) უზარმაზარი მრგვალი ლოდი აიღო და ჯარში გადაისროლა. ჯარმა ვერაფერი გაარჩია, ეგონა მტერი დაგვეცაო და ერთმანეთში აირია და ერთმანეთს ჟლეტა დაუწყო. როდესაც ისინი საკმაოდ შესუსტდნენ, იასონიც გადაერია ჯარით და სრულიად ამოსწყვიტა. შინ დაბრუნებულმა, იმედ-გაცრუებულმა აეტმა თავად-აზნაურობა შეჰკრიბა და თათბირი გამართა, თუ როგორ დაეღუპათ არგონავტები. ამ თათბირზე ის აზრი გამოსთქვა, რომ არგონავტებს, ალბად მედეა დაეხმარაო. ამავე დროს გერამ მედეას აუწყა, მისი მამის აზრი და ამით მას ისეთი შიში მოჰგვარა, რომ მედეამ მაშინვე გადასწყვიტა ფრიქსოსის შვილებთან ერთად არგონავტებთან გაქცეულიყო. მართლაც ღამით უხმოდ ქუჩები გაიარეს და რიონის პირს მივიდნენ, სადაც გმირები მათის ბელადის გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. აქ ნაპირიდან ფრიქსოსის შვილს ფრონტისს მოუწოდეს. უკანასკნელი და არგონავტებიც მაშინვე მათკენ გაეშურნენ და მედეამ იასონს აუწყა თუ აეტი მას რა საფრთხეს უმზადებდა და უთხრა, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა კოლხიდის დატოვება. რაც შეეხება ოქროს მატყლს, აღუთქვა რომ იგი დღეს მოაპოვებინებს მას, მხოლოდ იასონს თავის ამხანაგების წინაშე უნდა შეეფიცა, რომ ის საბერძნეთში მედეას ცოლად შეირთავდა. იასონმა შეჰფიცა. მედეა ავიდა გემზე, უბრძანა არგონავტებს გემი არესის ტაძრისაკენ წაეყვანათ. აქ ერთ ადგილას, რომელსაც ვერძის ნასვენს უწოდებდნენ, რადგან ოქროს ვერძმა, რომელზედაც ფრიქსოსი იჯდა, დაღლილობისაგან პირველად აქ ჩაიჩოქა, გემი შეაჩერეს. აქედამ შორს აღარ იყო ის ადგილი, სადაც ოქროს ტყავი იმყოფებოდა. იასონი და მედეა იმ ადგილსავე ფეხით წავიდნენ და მალე კიდეც დაინახეს ხე, სადაც ვერძის ტყავი ეკიდა, რომელსაც ფხიზელი ვეშაპი სდარაჯობდა. ვერძის ტყავი ღამეში ისე ანათებდა, როგორც მზით გაბრწყინვებული ღრუბელი. მედეას ჯადოქრობამ და ორფეუსის საკრავის ხმებმა ისე გააშტერეს ვეშაპი, რომ იასონმა ტყავის მოტაცება ადვილად შესძლო.

დიოდორეს სიტყვით სანამ არგონავტები კოლხიდას მიატოვებდნენ, მათ საშინელი ბრძოლა განიცადეს კოლხიდელებთან, რომლის დროს აეტისაგან მოკლულ იქმნენ სტენელოსის შვილი და ივისი. დილით ადრე აეტი თავისი დარაზმული კოლხიდელებით იმ ადგილს გამოცხადდა, სადაც ტყავი ეკიდა, მაგრამ არც ტყავი და არც არგონავტები აღარ დახვდა. მალე აღმოჩნდა, რომ არც მედეა ჩანდა სადმე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 844.

რუსეთის თავად-აზნაურთა კრება

8 მარტის სხდომაზე რუსეთის თავად-აზნაურთა შეერთებულმა კრებამ მოისმინა საბჭოს მოხსენება ბეჭვდითი სიტყვის თაობაზე. კანონის პროექტი 20 მუხლს შეიცავს. პროექტი სატახტო ქალაქების გამოცემათათვის საჭიროდ სთვლის განცხადებითი წესს, პროვინციის გამოცემათათვის კი ნებართვის წესს. პროექტით, პასუხის-გებაში უნდა მიეცეს არა მარტო რედაქტორი, არამედ წერილის ავტორი და გამომცემელიც. საჭიროდ არის ცნობილი აგრეთვე სისხლის სამართლის წინაშე პასუხის-მგებლობის გაძლიერება კერძო პირთა ცილის-წამებისათვის. ამგვარ საქმეთა გარჩევა ხალხის დაუსწრებლად უნდა სწარმოებდეს, სასამართლოს დადგენილებათა მოთავსებაც აეკრძალება გაზეთებს. გაძლიერდეს მეთვალყურეობა სტამბებზე, ლიტოგრაფიებზე; უნდა მიღებულ იყოს ორი ძირითადი დებულება: „ბეჭდვითი სიტყვა თავისუფალია კანონით აღნიშნულ ფარგალში"; „პასუხისგებაში მიცემა ბეჭდვითი სიტყვით კანონის დარღვევისათვის, მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით უნდა მოხდეს".

პროექტში ბევრი წინააღმდეგობაა. მაგალითად, პროექტში ნათქვამია, რომ წინასწარ ცენზურის განახლება ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შებორკვა იქნებაო, იქვე კი არის ნათქვამი, რომ გაზეთის ნომერი სამი საათით ადრე, სანამ გამოვიდოდეს, საცენზურო კომიტეტში უნდა წარადგინონო.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი.

— ჩვენ იმ გზას ვადგივართ, რომელსაც რუსეთის მეორე დიდ რევოლიუციისაკენ მივყავართო, — ჰგოდებს **პურიშკევიჩი**. ამ რევოლიუციას ნიადაგს უმზადებს პრესა, რომელიც ხალხში „ლუჩის", „პრავდა"-ს და „კოპეიკების" სახით ვრცელდებაო.

პურიშკევიჩი მოითხოვს, რათა კრება, თამამად და გაბედულად შეეკითხოს მთავრობას, კრებას ემხრობა იგი, თუ მისი წინააღმდეგიაო. პურიშკევიჩი სიტყვას ასე აბოლოვებს: ლაგამის ამოდება საჭიროა იმ ბატონებისათვის, ვისაც არ ჰსურთ გონიერების ხმას ყური ათხოვონ, და თუ ამას არ ვიზამთ, მოახლოვებულ რევოლიუციის ძლიერი ტალღა წაჰლეკავს როგორც მემარჯვენეებს, ისე მემარცხენეებსაო".

სახელმწიფო საბჭოს წევრი მასლოვი მოითხოვს, აეკრძალოს გაზეთებს მოწაფეთა თავის კვლის თაობაზე ცნობების ბეჭვდა, რათა მათი მიბაძვანი არ გამოავლონო. პროფ. დოგელი აღნიშნავს პრესის ძლიერ გავლენას საზოგადოებაზე და საჭიროდ მიაჩნია სასტიკად დაისაჯონ ანარქისტულ წერილების ავტორნი, რომელნიც იმ გვარ დანაშაულობას ამზადებენ, როგორც გიორგი მეფის მოკვლა იყო.

მოსკოვის დელეგატი შმაკოვი უფრო შორს მიდის პრესის ალაგმვის საკითხში. ჯარიმების მაგივრადო,—ჰბრძანებს შმაკოვი,—საჭიროა არასაიმედო გაზეთებში, განცხადებების ბეჭვდა აიკრძალოს; ამისთვის კარგი იქნება განცხადებათა მოთავსების საქმე მთავრობის ხელში გადავიდეს და ჭეშმარიტ-რუსთა გაზეთებს მიაწოდოს განცხადებანიო.

ხარკოვის დეპუტატმა კოვანკომ კრებას განუმარტა, თუ როგორ შეიძლება კანონის დაურღვევლად გაზეთის დაჭერა.

ერთმა გუბერნატორმა გაგზავნა თვისი მოხელე რედაქციის გასაჩხრეკად სხვა მიზეზის გამო. მოხელე მანამ არ შეუდგა რედაქციის გაჩხრეკას, სანამ გაზეთის ნომერი მზად არ იყო. როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო, მოხელემ რედაქცია გაჩხრიკა და გაზეთის ნომერი დაიჭირა. მოლაპარაკის აზრით ეს შემთხვევა სისტემაში უნდა შევიდეს.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად ნამყოფმა **გეორგიევსკიმ** შესაწყნარებლად სცნო საბჭოს მოხსენება, გარნა დასძინა, რომ მიმართულებისათვის გაზეთის დევნა არ შეიძლებაო.

კრებაზე ერთად-ერთი კაცი აღმოჩნდა, რომელმაც პრესის თავისუფლებისთვის სასარგებლოდ ხმა აიმაღლა. ეს იყო ყაზანის დელეგატი თავ. **უხტომსკი**. „ჩვენი საქმე არ არის,—სთქვა მან,—კანონ-პროექტების შემუშავება. ეს საკანონმდებლო დაწესებულებათა საქმეა. ფრიად მავნეა დრაკონის კანონთა ტენდენცია, რომელიც პროექტშია გაყვანილი. პასუხისმგებლობის გაძლიერება საჭირო არ არის, რადგანაც იგი პრესას მოწამობრივ გვირგვინს ადგავს. რევოლიუციას პრესა კი არ ჰქმნის, არამედ სხვა პირობები. პრესა მხოლოდ სინამდვილეს გვიხატავს. თუ ცხოვრებაში დამოკიდებულია პირობები, უპრესოდაც გამომზეურდებიან, გამოჩნდებიან პუგაჩევები, სტენკა-რაზინები, როგორც ძველად იყო. თუ მემარცხენე პრესა აღნიშნავს, რომ ხალხი ტანჯვას განიცდის და ამით იმსახურებს ხალხში თანაგრძნობას, ეს ჭეშმარიტებაა; დეე, მემარჯვენე პრესამაც აღნიშნოს სინამდვილე, ჭეშმარიტება".

თავ. უხტომსკის სიტყვამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ბოლოს კრებამ დაამტკიცა მოხსენება და მიიღო შემდეგი დამსჯელი ზომა: გაზეთის ხელზე გაყიდვის აკრძალვა, ფსევდონიმების აკრძალვა კი კრებამ უარჰყო.

წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვაცხადებთ, რომ ჩვენი გაზეთის პირველი **პრემია „უცხოეთის მწერლები"** უკვე **დაიბეჭდა** და ხვალიდან დაიწყება დარიგება.

ტფილისის გარედ მცხოვრებ იმ ხელის-მომწერთ, ვისაც უნდა პრემია ფოსტით მიიღოს და გასაგზავნი ხარჯი (50 კაპ.) კი არ გადაუხდია, ვსთხოვთ, დააჩქაროს ამ ფულის გამოგზავნა, რომ **პრემიის გაგზავნა არ დაგვიანდეს.**

ისტორიული ნაშთები ჯავახეთში

ამ ჟამად ჩვენი ქვეყნის კუთხეთა შორის ჯავახეთი ყველაზე ჩამორჩენილია კულტურულად და ყველასაგან მივიწყებულია. ძველად კი აქ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა. გავიხსენოთ დიდებული **„ვარძიის"** მონასტერი. შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენს ეს მონასტერი მიუვალ ციცაბო კლდეში გამოჭრილი-გამოქვაბულები. ტაძარი შესანიშნავია მხატვრობითა და სიფართოვით, როგორც შიგნით კედლებზე ისე გარედ მშვენიერი მხატვრობაა ისტორიულ სხვა და სხვა პირთა, წმინდანთა და ამბავთა. თვით უკვდავ გენიოს შოთას სურათიც არის მოთავსებული აღმოსავლეთის კედელზე; მხატვრობა შიგა და შიგ წაშლილია და საკმაოდ არ ეტყობა.

მტკვრის პირას ციცაბო კლდის მწვერვალზე ამაყად ამართულა ციხე-სიმაგრეების ნანგრევები. ქვეშ კლდის ძირას ერთ პატარა სოფელს შენიშნავთ. ეს თმოგი გახლავთ **„თმოგის ციხე"**—სარგის თმოგველის სამშობლო. აღმოსავლეთიდან მისვლა ციხეში ყოვლად შეუძლებელია. როდესაც შეჰყურებ ციხეს თვალს აგტაცებს მისი სიმაღლე და ტანში ჟრუანტელი გივლის. დასავლეთიდან მისვლა შესაძლებელია—ზემოდ რომ ახვალთ უშველებელი მოედანია. გარშემო გალავანი არტყია. იქვე უშველებელი ორმოა—გადმოცემით, დამნაშავეთა დასასჯელი ადგილი. აქვე ორი საფლავის ქვაა დაცული. ხოლო ვინ არიან აქ დამარხულნი, არავინ იცის და ზედ არავითარი წარწერა არ არის.

თმოგს რომ გამოსცდებით, მტკვრის გამოღმა, სოფლებია **წუნდა და ნაქალაქევი**, სადაც ამ ჟამად ქურთები მოსახლეობენ. წუნდაში ეკლესიაა დაცული. მშვენიერი კოპწია ეკლესიაა. თითონ ადგილს მშვენიერი მდებარეობა აქვთ. მშვენიერი ბაღები, წყაროები; დასავლეთით მტკვარი მიიკლაკნება. ამიტომაცაა რომ ძველად მეფეთა აგარაკები ყოფილ აქ.

მტკვრის პირასვე გამოღმა ვარძიის მონასტრის პირდაპირ **„ვანიქვაბია". „ვანიქვაბი"** არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაშთია. ძველად ეს ლავრა ყოფილა, აქაც ბევრი ეკლესიური გამოქვაბულებია; მხოლოდ ჟამთა სვლისაგან ისე დახავსებულან, რომ ზოგს მათგანს სრულიად დაუკარგავს ელფერი, ნანგრევების მეტი აღარაფერია. ერთი ეკლესიაც არის დაცული, ხოლო მისავალი მეტად სახიფათოა. ასასვლელი კიბე დაქცეულა და ეხლა კლდეზე ასვლა ძნელია. მახლობლად ადგილებია, რომელთაც ამ ჟამად მკვიდრნი ეძახიან „ბერთაყანას". ამ ლავრას ბევრი საკუთარი მამულები ჰქონია. ეს ადგილები ქურთების ხელშია. ხოლო თვით „ვანიქვაბი" ქურთების ხელშია. (სოფ. გოგაშნელების) ადგილობრივ მკვიდრ ქართველთაგან მივიწყებული არ არის ჯერაც ეს ნანგრევები. ღრმად სწამთ და დიდის სასოებით ლოცულობენ ხოლმე, მაგრამ უფრო აღდგომის მეორე დღეს იციან დღეობა. მაშინ იკრიბებიან, მოჰკავთ სადმრთო და დროს ატარებენ. სოფ. გოგაშნელ ქართველებ შორის დარჩენილია ერთი ლეგენდისებური ამბავი: ვითომ ყოველ წელს აღდგომა ღამეს ეკლესიაში სანთელი ენთებოდეს. მეორე გადმოცემა, რომელიც შედარებით უფრო ახალია: ყოველ აღდგომა ღამეს საიდღანაც მოვიდოდა „ვანიქვაბში" წყვილი ირემი, დაჰყობდნენ გათენებამდე და დილით გაჰქრებოდნენ. ერთ აღდგომა ღამეს ჩვეულებისამებრ, როცა ირმები ესტუმრნენ სალოცავს, ერთმა მოუსვენარმა კაცმა მოუსპო სიცოცხლე ირმებს და მას შემდეგ აქ მოსული ირმები აღარავის უნახავს.

მოსახსენებელია აგრეთვე „გუმურდოს" ტაძარი, სადაც ძველად საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა. ამ ჟამად ისეა დაცული ეს დიდებული ტაძარი, თითქო გუშინ აგებულიყოს და თვის სიმშვენიერებით ჰხიბლავს ადამიანს. ჩვენის აზრით, ყველა მოგზაურისთვის და ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვისაც ფრიად საჭიროა ამ ნაშთების დათვალიერება და გაცნობა-შესწავლა მათი. ეს არც ისე ძნელია, ვინაიდან მთელ ქვეყანას გარშემო უვლიან ახლანდელ დროში და ეს ხომ აქვეა. ჩვენის აზრით საკუთარ ისტორია-ნაშთების ცოდნა-შესწავლა მეტ ბარგად არ უნდა ითვლებოდეს ყოველი განათლებული ადამიანისათვის.

ქსნისპირელი.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

ინციდენტი სასამართლოს კომისიაში.

სასამართლოს კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც კენჭი უყარეს სენატის რეფორმის კანონ პროექტის ერთ მუხლს, მემარჯვენე ჯგუფის ერთი გლეხი-დეპუტატი მემარცხენეებს მიემხრო. მემარჯვენეებმა ამის გამო ალიაქოთი ასტეხეს და გლეხს შენიშნეს, რომ შენი საქციელი შეუწყნარებელიაო. **დეპ. გელოვანმა** პროტესტი განაცხადა კენჭის ყრის დროს ძალდატანების წინააღმდეგ. მის საპასუხოდ დეპ. ნოვიცკი მეორემ პირდაპირ მოსთხოვა დეპ. გელოვანს, რომ იგი და მისი ფრაქციული ამხანაგები აღარ მიეკარონ მემარჯვენე გლეხებს:

— ჩვენ „თქვენიანებს" არ ვახლებთ ხელს, თქვენ კი „ჩვენიანებს" დაანებეთ თავი.

— თქვენ საკუთარ მამულში როდი ბრძანდებით — საერთო სიცილის დროს უპასუხა მას დეპ. გელოვანმა —ხოლო თქვენ—მიუბრუნდა იგი მემარჯვენე გლეხებს—მოგილოცავთ ახალ უფროსებს („უტრო როსიი").

სასამართლოს რეფორმა კავკასიაში.

სათათბიროს შეკითხვაზე, როგორი რეფორმებია განზრახული კავკასიის სამოსამართლო უწყებაშიო, იუსტიციის მინისტერმა შჩეგლოვიტოვმა სახელმ. სათათბიროში წარადგინა წერილობითი განმარტება, რომელშიც გამოთქმულია მისი შეხედულება განზრახულ რეფორმების შესახებ. პირველ ყოვლისა მინისტრი ლაპარაკობს კავკასიის სასამართლოებში „ნაფიც მსაჯულთა კადრის" შემოღების თაობაზე. მინისტრს ნაადრევად მიაჩნია ამ რეფორმის შემოღება. მინისტრი აღნიშნავს, რომ რადგან კავკასიაში ნაკლებად არიან რუსულის მცოდნენი, ამიტომ ნაფიც მსაჯულთა საკმაო რიცხვს ვერ ვიშოვითო. მეორე საწინააღმდეგო საბუთად მინისტერმა დაასახელა ის „შური", რომელიც კავკასიის ხალხთა შორის არსებობს; დასასრულ, შჩეგლოვიტოვის აზრით, ნაფიც მსაჯულთა წესიერ გასამართლებას ხელს შეუშლის ადგილობრივ მცხოვრებთა დრომგადასული ჩვეულებანი, როგორც მაგ., სისხლის აღება და სხვა. რაც შეეხება სასოფლო სასამართლოების გაუმჯობესებას, მინისტრს განზრახული ჰქონია მათი რეფორმა სენ. რეინკეს პროექტის თანახმად. განზრახული ყოფილა აგრეთვე სამომრიგებლო და საგამომძიებლო ნაწილების რეფორმა, რომლის შესახებ სამინისტროს უკვე შეუმუშავებია კანონ-პროექტები და ახლო მომავალში შეიტანს საკანონმდებლო დაწესებულებებში.

სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში

სამხედრო სამკურნალო აკადემიაში სამხედრო სალამის მიცემის გამო, საქმე თან-და-თან რთულდება. თუ დროზე ყურადღება არ მიაქციეს, შესაძლებელია შესაზარი ამბავი დატრიალდეს. ოფიცრებთან ხომ თითქმის ყოველ დღე რამდენიმე უთანხმოება ხდება. ეხლა თავი წამოჰყვეს სამხედრო სასწავლებლის იუნკრებმა, რომელთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს. 8 მარტს ღამის სამ საათზე ლიტეინის პროსპექტზე მიდიოდა სამხედრო-სამკურნალო აკადემიის სტუდენტი პიროლიანცი. სტუდენტს სამი იუნკერი აედევნა. დაუწყეს სტუდენტს მასხარად აგდება, სიცილი და თავხედური ხარხარი. თავაზიანი სტუდენტი თავაგდებულ იუნკერთა სიტყვებს ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ შემდეგ იძულებული იყო ეთხოვნა ღამის საიდუმლო რაინდებისთვის თავი დაენებებინათ. იუნკრები მივარდნენ სტუდენტს და ცემა დაუწყეს. სტუდენტი მიწაზე დაეცა. მხედრულის სულით აღჭურვილმა იუნკრებმა ესეც არ იკმარეს და მიწაზე წაქცეულ სტუდენტზე ხმალი იშიშვლეს. სტუდენტი დაჭრილია ხელში. სალოკი თითი მოთლილი აქვს. მალე მოცვივდნენ მეეზოვეები და პოლიციელნი. სტუდენტი საავადმყოფოში წაიყვანეს. მისი მდგომარეობა საშიშია. „უშიშარი რაინდნი" პოლიციაში გაამგზავრეს. ისინი აღმოჩნდნენ მიხეილის საარტილერიო სამხედრო სასწავლებლის იუნკრები. პოლიციამ დამნაშავენი სასწავლებლის ადმინისტრაციას გადასცა.

დორპატის უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლებმა დაადგინეს: აკადემიის სტუდენტთა თანაგრძნობისათვის ერთი დღით გაფიცვა გამოაცხადონ.

„კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ 11 მარტს სამხედრო-სამკურნალო აკადემიის სტუდენტებმა, 600 კაცმა, ნიშნად პროტესტისა გაფიცვა გამოაცხადეს. მოახდინეს დემონსტრაცია აკადემიის შენობის წინ. აიძრეს ეპოლეტები და მოიხსნეს ხმლები. აკადემიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ სტუდენტებმა ოფიცრებს უნდა მისცეს სალამი, თუნდაც უეპოლეტო იყოს. აკადემიის პროფესორნი შუამდგომლობენ სამხედრო მინისტრის წინაშე, შესცვალონ ბრძანება სალამის მიცემის თაობაზე.

სამხედრო მინისტრმა წინადადება მისცა აკადემიის უფროს, აკადემიიდან გამორიცხოს სტუდ. მარკოვინი, რომელმაც შტ.-კაპ. სალამონოვს სილა გაარტყა. სტუდ. მარკოვინი სამართალში არ იქნება მიცემული.

მოწოდება მწერლებისადმი

ქუთათურმა წიგნების გამომცემელმა საზოგადოებამ განიზრახა, ამ ცოტა ხანში, გამოსცეს ერთი საყმაწვილო კრებული, ერთი კრებული ახალგაზრდა მწერლებისა და განსვენებული გრიგოლ ვოლსკის ყველა ქართული ნაწერი.

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მწერლებს ამ კრებულთათვის მოაწოდოს ჯერ დაუბეჭდავი თხზულებანი. თუ გამოგზავნილი თხზულება რაიმე მიზეზის გამო პირველ წიგნში არ დაიბეჭდა, მას ადგილი დაეთმობა შემდეგ კრებულებში. სივრცესა და დარგს ნაწარმოებისას არა აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან დაიბეჭდება როგორც ლექსი, ისე პროზა, როგორც დრამა, ისე ეპოსი. თუ თხზულება ძლიერ დიდი იქნება, შეიძლება ცალკე დაიბეჭდოს კრებულის მაგიერ.

შეძლებისდაგვარად საზოგადოება ეცდება ავტორებს ჰონორარი მიართვას.

ვთხოვთ, ვინც კი იცის განსვენებულ თ. გრ. ვოლსკის ხელმოუწერელი წერილები, ან უცნობი ფსევდონიმები (ჩვენ ვიცით მხოლოდ: გრ. უმწიფარიძე, იმე!) გვაცნობოს.

მისამართი: ქუთაისი, ორპირის ქუჩ, პირველი მისახვევი, ბახტაძის სახლი, გ. [illegible].

იმედია, ყველა ქართული გაზეთი და ჟურნალი ამ წერილს დაბეჭდავს.

გამომცემელ საზოგადოების გამგეობა.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

12 მარტი.

სოფია (საჩქარო). დილით დაიწყო ადრიანოპოლზე საერთო იერიშის მიტანა. ოსმალთა და ყველა გამაგრებული პუნქტები აღმოსავლეთ ნაწილისა ბულგარებმა იერიშით აიღეს.

სოფია. ღამის პირველ საათზე ბულგარეთის ჯარს ბრძანება მოუვიდა მოემზადოს ადრიანოპოლზე იერიშის მისატანად. ღამის სამ საათზე, მიუხედავად მედგარი თავ-დაცვისა ოსმალების მხრივ, ბულგარებმა ხიშტებით მიიტანეს იერიში აღმოსავლეთ ნაწილის სიმაგრეებზე და ყველა ხელთ იგდეს. ბულგარებმა აიღეს კიდევ მასლაკის სიმაგრეთა ჯგუფი, 12 ზარბაზნით და ოსმალეთის ხმელეთი ჯარის ერთი ბატალი-

ონით. ეხლა ბულგარები სერვანდერში იჭერენ პოზიციებს, რომელიც დაახლოვებით, ერთი კილომეტრით არის მოშორებული სიმაგრეებზე. დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში ბულგარებმა ოსმალები უკან დასწიეს და შესამჩნევად წინ წაიწიეს. ბულგარებმა ჩათალჯასთან ოსმალების მოწინავე პოზიციები გასდევნეს და ეხლა ორმანლი-ეფივატესის სიმაგრეებს იჭერენ.

სალონიკი. მრავალ-რიცხოვანმა ბრბომ თაყვანი სცა მოკლულ მეფის ნეშტს. ხვალ დილის 9 საათზე წაასვენებენ მეფის გვამს საბერძნეთში.

ცეტინიე. ჯავად-ფაშა 15.000 კაცისაგან შემდგარ რაზმით მდინარე შეუმშთან, სერბიელებს დაჰნებდა.

სტამბოლი. პრინც საბახ-ედინმა გაზეთ „რაზიფეში" წერილი მოათავსა, სადაც ეხება ოსმალეთზე დატეხილ უბედურებას. პრინცი ჰგმობს ომის გაგრძელებას და ურჩევს მესვეურთ, რაც შეიძლება მალე ჩამოაგდონ ზავი. წერილმა პოლიტიკოსთა წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ათინა. საბერძნეთის გემმა ხელთ იგდო დეპეშა, რითიც „ჰამიდიეს" ატყობინებენ, რომ სურსათი მისთვის გერმანიის გემს „ირმინგარდს" მიაქვსო. საბერძნეთის გემმა „ირმინგარდი" დაატყვევა.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

12 მარტი.

სტამბოლი. ავსტრიისა, ინგლისის და გერმანიის ელჩნი დიდხანს ებაასნენ დიდ ვეზირს ზავის ჩამოგდების თაობაზე.

ლონდონი. რეიტერი იტყობინება, რომ დიდი სახელმწიფონი შეთანხმდნენ ალბანეთის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვართა საკითხშიო. საზღვარი გაივლის ლაკოვიდან ოხრიდის ტბამდე. ამ შეთანხმებით სწყდება ლაკოვის, სკუტარის და სხვა ადგილების საკითხი. მოელიან, რომ ამ გადაწყვეტილებას ოფიციალურად გამოუცხადებენ. გამოცხადებასთან ერთად დაკავშირებულია ბალკანეთის მოკავშირეთა ორი მწვავე საკითხის გადაწყვეტა. როდესაც მოკავშირენი გაეცნობიან დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას, საჭირო აღარ იქნება სამხედრო მოქმედების გაგრძელება. ელჩთა თათბირს ჯერ არ გადაუწყვეტია ალბანეთის სამხრეთ საზღვრების საკითხი. ამ საკითხს იტალია და ავსტრია განსხვავებულ თვალსაზრისით უყურებენ. მაინც საკითხის გადაწყვეტაში დიდი დაბრკოლება არ შეხვდება ელჩთა თათბირს.

ლონდონი. რეიტერს ცეტინიდან ატყობინებენ, რომ ჩერნოგორია ცირკულიარულის ნოტით დიდ სახელმწიფოებს შესჩივის ავსტრია-ჰუნგრეთის მოქმედების თაობაზე, შესახებ სკუტარისა. ავსტრია-ჰუნგრეთის საქციელში ჩერნოგორია თვმცა-ღა ჰხედავს ნეიტრალიტეტის დარღვევას, მაინც იგი მზად არის დააკმაყოფილოს ავსტრია-ჰუნგრეთის მოთხოვნილება: სკუტარიდან გასვლის ნება მისცეს მშვიდობიან მცხოვრებთ.

ჩერნოგორიის მთავრობამ გადასცა ავსტრია-ჰუნგრეთს ნოტა, რითაც ატყობინებს გადაწყვეტილებას და თვის პროტესტს დიდ სახელმწიფოთა წინაშე.

ბერლინი. სარწმუნო წყაროებიდან მოსულ ცნობებით, ბალკანეთის საკითხის დღევანდელ მდგომარეობაში საჭიროა გავარჩიოთ, ჯერ ერთი ავსტრია-ჩერნოგორიის საკითხი, რომელიც ევროპის ჩაურევლად უნდა გადასწყდეს; ეს საკითხი ეხება „შკორდას" ინციდენტს და პალიჩის მოკვლას; მეორე, სკუტარის საკითხი, რომელშიაც ყველა დიდი სახელმწიფოა დაინტერესებული. ორივე საკითხში, ჩერნოგორიამ დაუთმო, რადგანაც დიდი სახელმწიფონი ერთსულოვნად მოითხოვდნენ სკუტართან სამხედრო მოქმედების შეჩერებას, ვიდრე მშვიდობიანი მცხოვრებნი არ დასტოვებდნენ ალყა შემორტყმულ ქალაქს. დასთანხმდა აგრეთვე იმასაც, რომ „შკორდის" ინციდენტის და პალიჩის მოკვლის საქმეთა გარემოებაში ავსტრიის საკონსულოს მოხელემ მიიღოს მონაწილეობა.

პარიზი დეპუტატთა პალატა. ბარტუმ დეკლარაცია წაიკითხა და აღნიშნა, რომ პირველ ყოვლისა მთავრობა თავის დაცვისთვის იზრუნებს, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნია სამხედრო სამი წლის სამსახურის კანონ-პროექტის დაცვა. ფლოტის გაძლიერებაც შეადგენს მთავრობის პოლიტიკის საზრუნავ საკითხსო. საფრანგეთმა თვისი მშვიდობის მოყვარეობა დაამტკიცა, მაგრამ არ შეიძლება უარი სთქვას მის ღირსების, ინტერესების და უზრუნველყოფისათვის ზომების მიღებაზეო. დეკლარაციას დეპუტატთა პალატა თანაგრძნობით მიეგება, განსაკუთრებით ცენტრი და მემარცხენენი. უკიდურესი მემარცხენენი ჯარის გაძლიერების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ.

ლონდონი. გრეიმ პალატაში განაცხადა სახელმწიფოთა შეთანხმება ალბანეთის ჩრდილო საზღვრის საკითხში. შეთანხმების ძალით, უნდა შესწყდეს სკუტართან საომარი მოქმედება. ვინც დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება, საქმე ერთ რომელიმე სახელმწიფოსთან კი არ ექნება მას, არამედ მთელ კრებულთან, რომელიც აიძულებს გადაწყვეტილების მიღებასო. გრეიმ განაცხადა, ოსმალეთს რჩევა მივეცი შუამავლობა მიეღო იმ პირობებით, რომელიც დიდ სახელმწიფოებმა შეიმუშავესო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოს)

12 მარტი.

საზღვარ-გარედ

ბრესტი. სოციალისტთა პარტიამ საჭიროდ სცნო საფრანგეთისა და გერმანიის მეერთება სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადის წინააღმდეგ.

იანძიფუ. კორეის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით დაიკეტა მანჯურიის თავისუფალი საზღვრები მდინარე იალუ, დიუძინ და ულასთან. 19 მარტიიდან დაარსდება თხუთმეტი საბაჟო.

ტოკიო. „ხოცი-სიმბუნი" ამერიკის სინდიკატიდან გამოსვლაში ჰხედავს სურვილს ამერიკის დამოუკიდებელ მოქმედებისას ჩინეთში.

რუსეთი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭო ამ ახლო ხანში განიხილავს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ შემუშავებულ გეგმას სინდიკატებთან ბრძოლის საკითხზე.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში წარადგინა ყირგიზთა ურდოს, ყალმიკის უდაბნოსა და ასტრახანის გუბერნიის ადმინისტრატიული, სასამართლო და საერობო წესწყობილების შეცვლის კანონ-პროექტი.

დააჯარიმეს „ლუჩის" რედაქტორი 500 მანეთით.

პეტერბურგი. შტალმეისტერ ფრიშის თავმჯდომარეობით მოხდა საუწყებათა-შორისო საბჭოს კრება სანოვაგის წესდების გადასათვალიერებლად.

ვილნა. დაიწყო საქმის გარჩევა ყალბ ატესტატთა დამმზადებელ სრულიად რუსეთის ბიუროსი. 90 დამნაშავეა. ისინი სამ ჯგუფად არიან დანაწილებულნი. პირველ ჯგუფში 4 კაცია, რომელთაც ყალბ მოწმობების შედგენა ჰბრალდებათ, მეორე ჯგუფში 12 კაცია—მათ ჰბრალდებათ მოწმობების გავრცელება, მესამე ჯგუფში შემკვეთელნი. 24 დამცველია. საქმის გარჩევა ორ კვირას გასტანს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი" (ქეთევან წამებული), რომელშიაც მთავარ როლებს თამაშობენ ქ-ნი ტასო აბაშიძე, დავითაშვილი; ბ-ნი გუნია, კ. მესხი, მგალობლიშვილი, მატარაძე და სხვანი. ადგილების ფასი, როგორც ამხანაგობა აცხადებს, ერთი-ორად დაკლებული იქნება.

„ედიპე მეფე" ქართულ სცენაზე. ქართველ მსახიობთა ამხანაგობას გადაუწყვეტია „ედიპე მეფის" დადგმა ამ დიდ-მარხვაში—მარტის 25-ში. პიესა ხელახლად არის გადათარგმნილი კონსტ. ანდრონისაგან და უკვე წარდგენილია საცენზურო კომიტეტში ნების დასართველად. „ედიპე" დაიდგმება ქართულ სცენაზე კოტე მარჯანიშვილის მიზან-სცენების მიხედვით.

ნინო ნაკაშიძის ახალი პიესა „ვინ არის დამნაშავე"? ქართველ მსახიობთა ამხანაგობას აზრად აქვს დადგას დიდ-მარხვის დამლევს, ან ნაალდგომევს ნ. ნაკაშიძის ახალი პიესა „ვინ არის დამნაშავე?", რომელიც დაბეჭდილია „გრდემლის" მეორე წიგნში. ამ პიესის რეჟისორობას იკისრებს თურმე ალ. წუწუნავა, რომელმაც ზედმიწევნით იცის გურულების ყოფა-ცხოვრება.

სახაზინო თეატრი. დღეს 14 მარტს, სახაზინო თეატრში ზ. ს. ს. არსებულ ქართ. წარ. მმართველი წრე თავის საშუალებათა გასაძლიერებლად მართავს წარმოდგენას. დამსახურებულ მსახიობთა: ეფ. მესხის, კ. ყიფიანის და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის ისტორიული დრამა-ლეგენდა **„ღალატი". რეჟისორობს ალ. წუწუნავა.** ადგილების ფასები ყველასთვის ხელ-მისაწდომია.

ეჭვი არ არის ქართველი საზოგადოება შესაფერის თანაგრძნობით მოეკიდება ამ წარმოდგენას.

ნაძალადევის თეატრი. კვირას, 10 მარტს, ს. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოადგინეს ვ. აბაშიძის-მიერ თარგმ. 5 მოქ. მელოდ. „გაძარცული ფოსტა".

ბ. სვიმონიძე ორ როლს ასრულებდა (ჟოზეფი და დიუბორსკი) და ორივე კარგად შეასრულა. მშვენიერნი იყვნენ ბ-ნნი კახდელაკი (ქეროში), სვანაძე (შოპარი) და ძაძამია (ჟოლიკე). ძალიან სუსტობდნენ ბ-ნნი გაბინაშვილი (მსაჯული), რომელსაც წარამარა ეშლებოდა სიტყვები და ფთაძე (კურიოლი), რომელიც მთელი თავისი სცენაზე ყოფნის დროს ან სუფლიორს ჩასცქეროდა, ან საზოგადოებას უყურებდა.

ამ საღამოს სულ პატარა როლის აღმასრულებელნიც კი დაკვირვებით მოქმედობდნენ. საზოგადოდ პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. წარმოდგენა გვიან გათავდა. ეს კი მეტის-მეტად აღონებს დამსწრეთ, რადგანაც მომეტებულად მუშა ხალხი დაიარება და მეორე დღეს ადრე ადგომა სჭირდება. **მიშო.**

ავლაბრის თეატრი მეზუროვისა. შაბათს, 9 მარტს, წარმოადგინეს პ. ირეთელის „დამარცხებულნი".

ამ ბოლო ხანებში ძალიან გამრავლდნენ სცენის მოყვარენი. აღნიშნულ თეატრშიც შემდგარა სცენის მოყვარეთა წრე (სიმართლე თუ გნებავთ „სცენის მტერთა" წრე), ვითომდა წარმოდგენების გასამართავად, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, სცენიდან გადაგვარებულ-გადამახინჯებულ სიტყვებისა და წინადადებების მეტი არასფერი გვსმენია. უმთავრეს როლებს ასრულებდნენ: ქ-ნნი გოგაშვილისა (ნატალია და ელისაბედი), ჟურული (ქეთო), ბ-ნნი ფირუმიანი (ბალდანიძე), პაპინაშვილი (ზაქარია), პეპანოვი (მიშა)—საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ეს ის პეპანოვი არ გახლავთ, რომელიც ხარფუხის სექციის რეჟისორად არის—მგალობლიშვილი (ნიკო ბერდიაშვილი), თარხანოვი (ვანო), გეურქა (ჟან. აფიცერი) და სხვ. ამათგან ძალიან ცოტათი ერჩეოდნენ პირველი ორნი, სხვათა ბაგეთაგან კი, როგორც ვსთქვით, ერთი სწორე ქართული სიტყვა არ გაგვიგია. აი მაგალითად: „ამან მიღალატებს", „ოპერისტა არტისტიკა", „სარწმუნო სიმბოლოებისა", „მეორას-ორმოცა-სამასოცდა ას-თექვსმეტი მუხლის ძალით" და სხვანი. მათ მოქმედებაზე ლაპარაკი ხომ, დამერწმუნებით, მეტი იქნება. ბ. სალაყაიაც (ნიკორა) აჰყოლია მათ და სახალხო სცენა შუაბაზრის ცირკად გადაუქცევიათ. საკვირველია, ან დრამატიული საზოგადოება, ან თეატრის დირექცია, რატომ ყურადღებას არ აქცევს ასეთ მოვლენებს, მით უფრო, რომ ეს ვაჟბატონები ჩირქსა სცხებენ ხელოვნებას, ავტორს და სხვა სინიდისიერად მომუშავე სცენის მოყვარეთა დასსაც ხელს უშლიან. **მ.**

ს. პეპანოვის ბენეფისი. კვირას, 10 მარტს, ავლაბრის (მეზუროვის) თეატრში ხარფუხის ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ, წრის რეჟისორის, ბ. პეპანოვის საბენეფისოდ დაიდგა „უდანაშაულოდ დასჯილნი".

პიესაში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ცნობილნი მსახიობნი ქ. ნ. დავითაშვილისა და ბ. ვასო აბაშიძე.

პიესამ კარგად ჩაიარა. თეატრი სავსე იყო ხალხით. წესიერებაც არაჩვეულებრივი. მობენეფისემ მიიღო მრავალი საჩუქარი. მეოთხე მოქმედების გათავებისას სცენაზე გამართულ იქმნა აპოთეოზი: შუაში იდგა კომპოზიტორის ბ. სულხანიშვილის ხორო, რომელმაც მშვენივრად შეასრულა რამდენიმე სიმღერა; ძალიან ასიამოვნა საზოგადოებას. წინ (მარჯვნივ) იდგა ხარფუხის წრის გამგეობა, რომელმაც საჩუქართან ერთად სამადლობელი სიტყვით მიმართა მობენეფისეს, მარცხნივ კი სცენის მოყვარეებს შუა იდგა თვით ბ. პეპანოვი. სიტყვა სთქვა აგრეთვე ზუბალაშვილის სახალხო სახლის ქართული წრის გამგეობის წევრმა ბ. ჯაბაურმა, რომელმაც აღნიშნა აუტანელი სიმძიმე სახალხო სცენაზე მოღვაწეობისა და უსურვა მობენეფისეს სიმხნევე. დიდად ნასიამოვნებმა საზოგადოებამ ნამდვილი ოვაცია გაუმართა მოთამაშეთ და გვიან დაიშალა. სიგვიანეში მიზეზს სდებენ ბ. მეზუროვს—თეატრის მოიჯარადრეს, რომელიც ყელზე დასდგომოდა დანით გამგეობას—ან ყველა ვალები ეხლა მომეცით ან არა და ფარდას არ ავხდიო.

მშვენიერი იყო ქ. ნ. დევითაშვილი ლიუბოვ ატრადინას როლში. მესამე და მეოთხე მოქმედებაში ბევრი აატირა.

საუცხოვო იყო ბ. ვასო აბაშიძე შმაგას როლში და მისი შედარებული მიმიკით ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა.

მობენეფისემ, ბ. პეპანოვმა, მშვენივრად გადმოგვცა ნეზნამოვის ტრაგიული სულის წუხილი.

ნიჭიერად შეასრულა ქ. კავთელმა ტაისა ბელავინას როლი, მხოლოდ ამ სცენის მოყვარეს მართებს მეტი ყურადღების მიქცევა მკაფიო გამოთქმაზე.

ტიპიურნი იყვნენ: ნინა კორინკინას როლში—ქ. ზარდალიშვილისა, არინა გალჩიხა—ქ. მეხუზლასი, ანუშკა—ქ. გოდერძი, დანარჩენები მხატვრულ ანსამბლს უწყობდნენ ხელს. **თეოფილე.**

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ელენე დავითის ასულმა ნაჩუცრიშვილმა: ორი შავი ფული; 2) ნინო გიორგის ასულმა მაღალაშვილისამ: ორი თეთრი და ერთი შავი ფული; 3) ნინო ივანეს ასულმა ცაბაძემ: ქართული აბაზიანი; 4) ელენე ალექსანდრეს ასულმა ოქროზიშვილისამ: ა) სარტყელი (ფარჩისა) და ბ) შუბლის ქინძისთავი ვერცხლისა; 5) ნინო ივანეს ასულმა გოგოლაძემ; ჩინური ფული; 6) სოფიო ანდრიას ასულმა მალაციძისამ: ა) ვერცხლის ილარი (ყურის გამოსაჩიჩქნი) და ბ) ქარვის სამაჯური; 7) ანიკო ლუკას ასულმა მალაციძისამ: ძველებური თავსაკრავი; 8) სოფიო იოსების ასულმა გაგნიძისამ: ხელის ყუთი; 9) სოფიო გიორგის ასულმა ქელეხსაშვილისამ: სოფ. ახალქალაქს აკლდამაში ნაპოვნი სასანიანთ დინასტიის თეთრი ფული (დაზიანებული) და კვირისთავი თიხისა; 10) ნინო ივანეს ასულმა ჩილინგარაშვილისამ: ა) ხელის ყუთი, ბ) ბანქოს ბუდე ნაქარგი და გ) საარყე ჭიქა; 11) კეკე ივანეს ასულმა გათოზიშვილისამ: ხელნაწერი; 12) სოფიო გიორგის ასულმა ხარატიშვილისამ: ხელნაწერი; 13) დარია იოსების ასულმა სიდამონიძისამ: ოქრომკედის თავსაკრავი; 14) ნინო სოლომონის ასულმა კელაპტრიშვილისამ: ხელნაწერი; 15) თებრონია გაბრიელის ასულმა ჯავახიშვილისამ: თავსაკრავი; 16) ევა სვიმონის ასულმა სულუაშვილისამ: ოქრომკედის თავსაკრავი; 17) ნინო გიორგის ასულმა ნავროზაშვილისამ: თავსაკრავი; 18) ნინო მათეს ასულმა ბაცანკლიშვილისამ: ხელნაწერი; 19) ნინო დიმიტრის ასულმა გუნიძემ: ხის ძველებური ხატი; 20) პელაგია სოლომონის ასულმა ხუციშვილისამ: ორი თავსაკრავი; 21) კატო მიხეილის ასულმა ხუციშვილმა: ვერცხლის ციმციმებიანი შუბლის ქინძისთავი; 22) სოფიო აბრამის ასულმა შავერდაშვილისამ: შავი ფული; 23) ანნა კაკას ასულმა ხუციშვილისამ: შავი ფული; 24) მარო ივანეს ასულმა ქავთარაძემ: თავსაკრავი; 25) მარიამ გიორგის ასულმა გულისაშვილისამ: ხუთი დასიებულის და დასუნთქულის წამალი (მრგვალი კენჭი, ხალხის სიტყვით, ძროხის პირიდან წამოვარდნილი); 26) ანნა დიმიტრის ასულმა გულისაშვილისამ მაყაში; 27) თავადის იორამ თარხნიშვილის ასულმა თებრონიამ: ა) ხუთი ხელნაწერი და ბ) მშვლის რქის ორი შანდალი; 28) ლუბა ალექსანდრეს ასულმა თარხნიშვილისამ: ორი პატარა ნაბეჭდი წიგნი (საეკლესიო); 29) კნ. მარიამ გიორგის ასულმა თარხნიშვილისამ: ა) ექვსი ხელნაწერი, ბ) ერთი ნაბეჭდი დავითნი და გ) ჭრაქი; 30) კნ. თამარ ზაქარიას ასულმა თარხნიშვილისამ: ხელნაწერი; 31) კნ. მარიამ ლევანის ასულმა მალლაშვილისამ: ხის კულა; 32) სოფიო ზაქარის ასულმა ფურ[illegible]ლოვისამ: ხელნაწერი; 33) ეკატერინე როსტომის ასულმა ქულუხისამ: ერთი თეთრი და ორი შავი ფული; 34) ქალი ზაქარის ასულმა მირიმანოვისამ: მამაკაცის სარტყელი; 35) მარიამ საკას ასულმა მამასახლისოვისამ: ოქრომკედით ნაქარგი თავსაკრავი; 36) ელენე გალუსტის ასულმა მამასახლისოვისამ: შავი ფული; 37) ბარბარე იაგორის ასულმა მამასახლისოვისამ: შავი ფული; 38) სოფიო ივანეს ასულმა მამასახლისოვისამ: შავი ფული; 39) ანიკო გიგოს ასულმა მამაცოვისამ: ევროპიული ფული; 40) ეფემია გიორგის ასულმა ნაზარბეგოვისამ: ოთხი შავი ფული.

ჩაუბარებელი დეპეშები

მოსკოვიდან—რევაზიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. შუშაძე.

განცხადებანი

თესლეულობა

საუკეთესო ხარისხისა, ნაცადი, არადეს არ მოსცდება, ხახვის თავი, ბოსტნის, მინდვრის, ფოთლოვანი ნერგები, ყვავილები, კარტოფილი. ფასის ჩამონათვალი უფასოდ.

ს. მ. კოვალის თესლეულობის დეპო. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 27. 1187

ექიმ ნაკაშიძის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს.)
(ვორონცოვის ხიდის პირდაპირ).
ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე, ზრდილ კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეხვედრა კონსულტაციურად.

ა. ა. ნაკაშიძე: 11—12 ს. [illegible]
ბ. ბ. ჭუბაბრია: 1—2 ს. [illegible]
ქ. ვ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. [illegible]
ა. ა. ზანანაშვილი: 10—11 ს. [illegible]
ა. გ. მულიანი: 10—12 ს. [illegible]
ა. გ. ავეტიქიანი: 11—12 ს. [illegible]

საღამოთი:
მ. გ. ავეტიქიანი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რინგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. [illegible]
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ა. ნაკაშიძე. 1004

მუხრანის კერძო სამკურნალო

საწოლი კლინიკით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიგი, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

ექიმების მიერ:	დილით:
საპეტიორი ვ. ვ.	8½—9½ ს.
იაშვილი ა. ი.	11—12 ს.
ლოლობერიძე ვ. ვ.	12½—1½ ს.
მრივორიანი ა. ი.	11—12 ს.
მელიქიანი გ. ა.	12—1 ს.
ჯაში ი. ი.	9½—10½ ს.
ვრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
მიქირტუმოვი	10 11 ს.
ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა	11—12 ს.
ლოლობერიძე	12½—1½ ს.
ზაალნიაშვილი გ. ი.	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კლინიკით 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. [illegible] შეხვედრება წამლებისა „606" და „914", [illegible] ელექტრონი წამლობა, [illegible] 1581

შემთხვევით იყიდება
ა. ბოგდანოვის
მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით 1 მანეთად.
ტფილისს გარედ მცხოვრებთ გაეგზავნებათ 1 მან. 10 კ. [illegible]
Тифлисъ, складъ бумагъ Т-во Сергѣева, Дворцовая ул., д. Сараджева во дворѣ. 1098

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ცნობილი
კასხალიდის
აბრეშუმის თესლი
წელს იყიდება მ. ვ. რუსიძის კანტორაში, ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.
[illegible] 1079

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კაიმ.) ზეიზილალა
თევზის მრეწველნი
გამოხული ქერი
სელიოტკები.
ძმ.
კონსერვები.
ძმებ[illegible]
[illegible]
პუშკინის ქ., საკუთარ ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".